მეჰრიბან ალიევა და მისი ქალიშვილები გახსნის ცერემონიალზე



დღეს 7-ზე ბაქოს ნიზამის რაიონში დაუნის სინდრომით დაავადებულ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი გაიხსნა.
აზერბაიჯანის პირველი ლედი, ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტი მეჰრიბან ალიევა, ფონდის ვიცე-პრეზიდენტი ლეილა ალიევა და არზუ ალიევა ცერემონიალს დაესწრნენ. ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტი ცენტრში შექმნილ პირობებს გაეცნო. აღნიშნა, რომ შენობის ინტერიერის მრავალფეროვნება მის დინამიკურ აურას კიდევ უფრო ამდიდრებს. მეჰრიბან ალიევას აცნობეს, რომ სასადილოში პაციენტებისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი. ცენტრში ფსიქოლოგიის, სკოლამდელის მომზადების, მშობელთა ოთახები, ბიოლოგიისა და ზოოლოგიის კაბინეტები არსებობს.